
**მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური
რეგულირების მექანიზმი (თეორიული მოდელი)**

ნატო გვეგა
სტუ-ს დოქტორანტი

მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი ერთობ რთული სისტემაა. მისი მიზანია საბაზრო მექანიზმის მაკრო და მიკრო ბუნების მატარებელი იმ ნეგატიური თვისებების ნიველირება, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს მცირე ბიზნესის განვითარებაზე. აღნიშნულის მეშვეობით ბიზნესის ამ სახეობას უნდა შეექმნას პირობები ბაზარზე ნორმალური ფუნქციონირებისა და ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში მისთვის განკუთვნილი აუცილებელი ადგილის დასაკმკვიდრებლად.

მცირე ბიზნესის მნიშვნელობიდან გამომდინარე მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები მოწოდებულნი არიან მრავალმხრივი დახმარება აღმოუჩინონ მას. ეს განპირობებულია იმით, რომ მისი მინდობა საბაზრო ძალებისადმი სათანადო შედეგს არ იძლევა. აუცილებელია მცირე ბიზნესის მხარდაჭერა ფინანსური სახსრების მოზიდვაში, ინფორმაციულ უზრუნველყოფაში, მარკეტინგულ მომსახურებაში, კვალიფიციური კადრების მოზიდვაში და სხვ. იგი მხარდაჭერას საჭიროებს იმიტომ, რომ აქ დაბალია პროდუქციის დივერსიფიკაციის დონე, ფლობს მცირე ზომის საწესდებო კაპიტალს და რესურსების მწირ ოდენობას, მკვეთრად რეაგირებს საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებაზე და ა.შ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბიზნესის განვითარებას პოსტკომუნისტური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. აქ იგი გვევლინება როგორც უმუშევრობის აღმოფხვრის და მეწარმეობრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. მაგრამ ამ ქვეყნებში მის განვითარებას უფრო მეტი წინააღმდეგობები ეღობება წინ, ვიდრე სხვა ქვეყნებში, რასაც განაპირობებს: კორუფციის მაღალი დონე, ეკონომიკური რეფორმის დროს დაშვებული შეცდომები, საერთოდ ტრანსფორმაციის სიძნეელები და სხვ.


ამდენად, მცირე ბიზნესის მხარდაჭერის გაძლიერება სახელმწიფოს მხრიდან მისი ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილი უნდა იყოს, რისი განხორციელებაც მცირე ბიზნესის განვითარების

სახელმწიფო რეგულირებითაა შესაძლებელი, განსაკუთრებით კი მაკროეკონომიკური რეგულირებით, რაც გულისხმობს საკანონმდებლო და მართლმსაჯულებრივ ღონისძიებათა და მათი განხორციელების მეთოდების და ინსტრუმენტების სისტემას. იგი ხორციელდება სახელმწიფო ცენტრალური ორგანოების მიერ, რომლის საბოლოო ამოცანას მთელი ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაცია და მისი შემდგომი განვითარება წარმოადგენს.

მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს: საკანონმდებლო და ნორმატიული რეგულირების ინდიკატორთა (მაჩვენებელთა) სისტემას; რეგულირების ღონისძიებათა სისტემას; რეგულირების მეთოდებისა და ინსტრუმენტების ერთობლიობას; მცირე ბიზნესის მხარდაჭერ მაკროეკონომიკურ ინფრასტრუქტურას; მცირე ბიზნესში სახელმწიფო მეწარმეობას; მცირე ბიზნესისადმი საერთაშორისო დახმარების მიღების რეგულირებას; მცირე ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფას რისკის გათვალისწინებით; რეგულირების კონტროლს და ორგანიზაციას (იხ. სქემა).

საკანონმდებლო და ნორმატიული უზრუნველყოფა გულისხმობს იმ კანონებისა და ნორმატიული აქტების მიღებას, რომელიც განსაზღვრავს მცირე ბიზნესის სტატუსს ეკონომიკაში და ხელს უწყობს მის შემდგომ განვითარებას (კონსტიტუცია, სამოქალაქო კოდექსი, სისხლის სამართლის კოდექსი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, საგადასახადო და საბაჟო კოდექსი, „მეწარმეობის შესახებ“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, „დაზღვევის შესახებ“, „გაკოტრების შესახებ“, „რეკლამის შესახებ“, „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“, „პროდუქციის და მომსახურების სერთიფიცირების შესახებ“, „მონოპოლიური საქმიანობის და კონკურენციის შესახებ“, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ და სხვა კანონები.

რეგულირების ინდიკატორთა სისტემა მოიცავს იმ მაჩვენებელთა ერთობლიობას, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია დავადგინოთ მცირე ბიზნესში არსებული საერთო მდგომარეობა, ასევე შევაფასოთ და გამოვავლინოთ რეგულირების პროცესში წარმოშობილი სიძნელეები და ნაკლოვანებები. ასეთი მაჩვენებელია: მცირე ბიზნესის ზვედრითი წილი მთლიან ეროვნულ პროდუქტში, გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, ძირითადი კაპიტალის სიდიდე, საშუალო ხელფასის დონე, რეალიზე-



ბული პროდუქციის მოცულობა, მცირე ბიზნესის დარგობრივი სტრუქტურა, მცირე ბიზნესის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურის სტრუქტურა და ა.შ.

რეგულირების ღონისძიებათა სისტემა, უპირველეს ყოვლისა გულისხმობს მცირე ბიზნესის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრას და მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას, ასევე იმ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია დასახული მიზნის მისაღწევად.

რეგულირების ღონისძიებათა სისტემის შინაარსი განისაზღვრება ქვეყნის მთელი ეკონომიკის და ასევე მცირე ბიზნესის განვითარების ღონით. პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის მათი განვითარების პირველ ეტაპზე სტრატეგიული მიმართულება არის მცირე ბიზნესის განვითარება და იმ მაკროეკონომიკური კლიმატის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესის ჩამოყალიბებას და ა.შ.

მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტებიდან შესაძლებელია გამოვყოთ ადმინისტრაციული და ეკონომიკური ინსტრუმენტები. პირველს მიეკუთვნება: ლიცენზირება, რეგისტრაცია, ანტიმონოპოლიური და ბუნების დაცვითი აკრძალვები, კვოტები და სხვ. ეკონომიკური ინსტრუმენტებიდან აღსანიშნავია: პროგნოზები, გეგმა, პროგრამები, სტრანდარტები, ნორმატივები, ტარიფები, სააღრიცხვო განაკვეთები, საბაჟო გადასახდელები, საგადასახადო შეღავათები, სახელმწიფო შესყიდვები, სუბსიდიები, კომპენსაციები, ფულად-საკრედიტო, ფისკალურ-მონეტარული ინსტრუმენტები და სხვ.

ეკონომიკური რეგულირების მეთოდი ითვალისწინებს არა პირდაპირ ღირეპტიულ გაფრთხილებას, არამედ მოქმედებს დარეგულირებული ობიექტის ინტერესებიდან გამომდინარე.

მცირე ბიზნესისადმი საერთაშორისო დახმარების რეგულირება ნიშნავს სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო დახმარების მოზიდვას და მისი მცირე ბიზნესში ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობას, რაც უნდა განხორციელდეს იმ ორგანოს მიერ, რომელიც უშუალოდ არეგულირებს მცირე ბიზნესს.

რეგულირების კონტროლი გულისხმობს მცირე ბიზნესის რეგულირების პროცესში შესაბამის ინდიკატორთა ანალიზის საფუძველზე არსებული ნაკლოვანებების გამოვლენას და აღმოფხვრის გზების დასახვას, ან კორექტივების შეტანას რეგულირების მექანიზმში.

მცირე ბიზნესის უსაფრთხოება რისკის გათვალისწინებით. ამ მიმართულებით უნდა გატარდეს ღონისძიებები, რომლებიც შეამცირებს ბიზნესის, როგორც ეკონომიკური, ისე სხვა სახის რისკებს.

რისკის ძირითადი სახეებია: სამეწარმეო კომერციული, ფინანსურ (საკრედიტო) საინვესტიციო და ბაზრის რისკის უარყოფითი შედეგების მინიმიზაცია ხდება რისკის მართვის, რისკზე კონტროლისა და რისკის ფინანსირების მეთოდით.

რისკის უარყოფითი შედეგების შემცირებას ხელს უწყობს ქვეყანაში არსებული სადაზღვევო სისტემა.

მცირე ბიზნესი განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების ორგანოები მოიცავს სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტოს, როგორც საკანონმდებლოს, ისე აღმასრულებელს და სასამართლოს.

მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური მექანიზმი წარმოადგენს ლოკალურად შეკრულ მთლიან სისტემას, რომლის ელემენტებს შორის მჭიდრო დინამიკური ურთიერთკავშირი არსებობს.

ჩვენ მცირე ბიზნესს განვიხილავთ როგორც დინამიკაში შემოთავაზებული მოდელს, მისი ელემენტები (ქვესისტემები) ექვემდებარება მუდმივ ცვალებადობის შევსებას და დახვეწას.

ამდენად, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი მაკროეკონომიკური მექანიზმის ფორმირება, მისი მიმართულება-ფუნქციონირება საბაზრო ეკონომიკის სრულყოფის აუცილებელი პირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანანიაშვილი ი., აჩელაშვილი კ., მესხია ა., პაპავა ვ., სილაგაძე ა., წერეთელი გ. „მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები“. თბ., „მეცნიერება“, 2003.
2. ჭითანავა ნ. „საბაზრო ეკონომიკის რეგულირება (ორგანიზაციული პრობლემები)“, თბ., 1996.
3. Мазоль С., Экономика малого бизнеса. Минск, 2004.